მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მიზანს მრავალსართულიან საცხოვრებელი სახლებში საცხოვრებელი პირობების შენარჩუნება წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სახურავი მასალის შეძენა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის.

1.2.4.3. საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ჭიათურაში, საჩხერის გზატკეცილი, №6 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის ეკოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობის განვითარება;
- მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება;
- დაზიანებული საყრდენი კედლების შემცირება;
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქის გაუმჯობესებული სანიტარიული პირობებით უზრუნველყოფა;
- შემცირებული მაწანწალა ცხოველების რაოდენობა;
- მოსახლეობის დაცვა სტიქიისაგან;
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების რაოდენობა.

1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ქალაქის გამწვანება და მოსახლეობის კულტურულ დასვენებაზე ზრუნვა, როგორც ფეხით მოსიარულებთა, აგრეთვე ტრანსპორტის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რის გამოც იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა და გამწვანება, ფეხით მოსიარულებთა გადასასვლელებისა და კიბეების მოწყობა-რეაბილიტაცია, კლდეებზე არსებული, ავარიულად საშიში, მოძრული ქვების ჩამოწმენდა.



1.3.1. მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეების გაშენება.

1.3.2. ქვათაცვენის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კლდეებზე არსებული, ავარიულად საშიში, მოძრული ქვების ჩამოწმენდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის სკვერებისა და პარკების იერსახის გაუმჯობესება;
- ქალაქის მწვანე ნაწილის გაფართოვება;
- ქვათაცვენისაგან ავარიულად უსაფრთხო გადაადგილება;
- ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამსვენებელთა ზრდა პარკებსა და სკვერებში;
- ეკოლოგიურად ჯანსაღი ქალაქი;
- ქვათაცვენისაგან ავარიულად უსაფრთხო ქალაქი;
- ფეხით მოსიარულეთა კმაყოფილების დონე.

2.0. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

2.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი, რომელიც აერთიანებს 32 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1600-დე ბავშვს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“,

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბაღების მოწყობა იმ სოფლებში, სადაც დღეისათვის არ არსებობს საბავშვო ბაღები.

2.2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების (რომელიც განთავსდება აღნიშნულ სოფლებში არსებულ სკოლებში) მოწყობის საპროექტო და სარემონტო სამუშაოები შემდეგ სოფლებში: ხვაშითი, ქვედა ჭალოვანი, ხალიფაური, წირქვალი, ქვაციხე, რცხილათი, სკინდორი, ნავარძეთი, კაცხი, ცხრუკვეთი, ბერეთისა, მერევი, გეზრული, მანდაეთი, ტყემლოვანა, განხორციელდება სოფელ ითხვისში საბავშვო ბაღის ახალი შენობის და სოფელ პერევისაში ადმინისტრაციულ შენობაში ბაღის მოწყობის საპროექტო-სარემონტო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით;
- გაზრდილი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები;
- ბავშვთა მაღალი აკადემიური მოსწრება;
- აღსაზრდელთა გაზრდილი რაოდენობა.

3.0. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; რეაბილიტაცია ჩაუტარდება სახელოვნებო, სამუსიკო და სპორტულ სკოლებს.

3. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზება.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოეწყობა სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა.

3.1.1. სპორტული სკოლები (პროგრამის კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

ა) ა(ა)იპ – №27 კომპლექსური სპორტული სკოლა;

ბ) ა(ა)იპ – რაგბის სპორტული სკოლა;

გ) ა(ა)იპ – ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა



3.1.1.1. ა(ა)იპ – №27 კომპლექსური სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ – №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინიფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონემენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი), რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.

3.1.1.2. ა(ა)იპ – რაგბის სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება რაგბის სპორტული სკოლა, 2016 წლიდან სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატში. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი.

3.1.1.3. ა(ა)იპ – ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი.

3.1.2. სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე 10 ერთეული ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა;
- სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ცხოვრების ჯანსაღ წესში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- გამართული სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- ა) სსიპ – კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი;
- ბ) ა(ა)იპ – №1 მუსიკალური სკოლა;
- გ) ა(ა)იპ – №2 მუსიკალური სკოლა;



დ) ა(ა)იპ – სამხატვრო სკოლა;

ე) ა(ა)იპ – ცენტრალური ბიბლიოთეკა.

3.2.2.1. სამუსიკო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – №1 მუსიკალური სკოლა და ა(ა)იპ №2 მუსიკალური სკოლა.

3.2.2.1.1 №1 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – №1 სამუსიკო სკოლა სადაც მუსიკალურ განთლებას იღებს დაახლოებით 328 ბავშვი.აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები 80 მოსწავლე, ლაურეატი 58 მოსწავლე, მრავალშვილიანი 32 მოსწავლე, ობოლი 18 მოსწავლე, ლტოლვილი 12 მოსწავლე და ესტრადისა და ფოლკლორის 44 მოსწავლე განთავსებულია არიან სწავლის ქირის გადასახადისგან. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის 84 მოსწავლე. სწავლის საფასური შეადგენს 15 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.2.1.2. №2 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – N2 სამუსიკო სკოლა, სადაც მუსიკალურ განთლებას იღებს 192 ბავშვი.აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები – 102 მოსწავლე, ლაურეატი 39 მოსწავლე, მრავალშვილიანი – 10 მოსწავლე, ობოლი – 4 მოსწავლე, ლტოლვილი – 4 მოსწავლე. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის 33 მოსწავლე. სწავლის საფასური შეადგენს 15 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.2.2. ა(ა)იპ – სახვითი ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი (05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა, სადაც სამხატვრო-სახელოვნებო განათლებას იღებს 35 ბავშვი.

3.2.2.3. ა(ა)იპ – ცენტრალური ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ააიპ – ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 33 ბიბლიოთეკას.

3.2.2.4. სსიპ – კულტურის შემოქმედებითი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და საცეკვაო წრეებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მომღერალთა გუნდებს. ცენტრის საკუთარი სახსრებით ფინანსდება ხელფასი და ოფისის ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასის, ოფისის და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.2.5. კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურის შემოქმედებითი ცენტრის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსწავლე ახალგაზრდობის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ტრადიციების დაცვა და განვითარება;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობა;
- კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის მაჩვენებელი;
- რეაბილიტირებული კულტურული ობიექტები.



3.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად მგზავრობის ხარჯები, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში, წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, წარმატებულ სპორტსმენთა მწვრთნელების დაჯილდოება, რეგიონალურ და მუნიციპალურ ტურნირებში მონაწილე გუნდების და ინდივიდუალურად გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოება, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება, ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მოტივირება უკეთესი მომავლისათვის.

3.4. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა მოქალაქეებში რელიგიური მრწამსისა და კულტურის ამაღლება, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ადამიანებისათვის საკუთარი რწმენისა და აღმსარებლობის აღსრულებისათვის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რელიგიური საგანმანათლებლო ორგანიზაციის და მოსახლეობაში მრწამსის ამაღლების ხელშეწყობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რელიგიური განათლების სწორად ჩამოყალიბება.

3.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის აღწერა

სხვადასხვა სახალხო თუ სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს წარმოადგენს, რომელიც ხელს შეუწყობს ტრადიციების დაცვას. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სახალხო და სადღესასწაულო დღეებში საკონცერტო სანახაობისა თუ სხვა ღონისძიებების ჩატარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:



- ჩატარებულ ღონისძიებების რაოდენობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული ღონისძიებებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა;

4.0. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებათა და შეღავათით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

4.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

- ა) არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- ბ) დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- დ) სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ე) ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მომხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ვ) მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და მხამიანი ცხოველების ცხოველყოფილობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები.

4.1.1 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (06 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახურის“ დაფინანსებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა დონე;

4. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე



ვითვალისწინებთ რა მუნიციპალიტეტში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს, გაჭირვებული და მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მათთვის სოციალური დახმარებების გაწევას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება შემდეგი სოციალური პროგრამები:

ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა, მათ შორის:

ა.ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება (დაახლოებით 900-1000 ბენეფიციარი);

ა.ბ) ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება (დაახლოებით 35 ბენეფიციარი);

ა.გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 620 ბენეფიციარი);

ა.დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 350 ბენეფიციარი);

ა.ე) რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 16 ბენეფიციარი);

ბ) ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურება;

გ) უმწეო და მიუსაფარ ადამიანთა უფასო სასადილოთი მომსახურება (დაახლოებით 165 ბენეფიციარი);

დ) მოსახლეობის სოციალური დაცვა, მათ შორის:

დ.ა) ხანდაზმულთა დახმარება (დაახლოებით 28 ბენეფიციარი);

დ.ბ) დევნილთა სოციალური დაცვა (დაახლოებით 105 ბენეფიციარი);

დ.გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (დაახლოებით 30 ბენეფიციარი).

დ.დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (დაახლოებით 120 ბენეფიციარი);

ე) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, მათ შორის:

ე.ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა (დაახლოებით 500 ბენეფიციარი);

ე.ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა (დაახლოებით 210 ბენეფიციარი);

ე.გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა (დაახლოებით 1200 ბენეფიციარი);

ე.დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება (14 ბენეფიციარი);

ვ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება (დაახლოებით 20-30 ბენეფიციარი);

ზ) ომის ვეტერანთა დახმარება (დაახლოებით 335 ბენეფიციარი);

1. ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;

ბ) პროგრამულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება;

გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;

დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება;

ე) რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება.

4.2.1.1. სამკურნალო-საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01 01).

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ა) გადაუდებელი და გეგმური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ბ) ექიმის დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების, მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევის ხარჯები. ასევე დაფინანსდება იმ ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური თუ მაღალტექნოლოგიური კვლევის განხორციელების პროცესში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;

გ) ამბულატორიულ ან/და სტაციონარულ დონეზე ჩასატარებელი გეგმური სამედიცინო სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროცედურების ხარჯები, მხოლოდ ნერვკუნთოვანი დაზიანების მქონე პაციენტებისათვის 0-დან 14 წლამდე, ხოლო მოზრდილებისათვის მძიმე ფორმის შეძენილი ნერვკუნთოვანი დაავადების ან/და ტრავმის შედეგად განვითარებული ნერვ-კუნთოვანი დაზიანების შემთხვევაში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

დ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კერძოდ: ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ე) მშობიარობის, გართულებული მშობიარობისა და სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე.

4.2.1.2. პროგრამულ ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 02)

ქვეპროგრამით განსაზღვრული ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება, გაიცემა ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე. აღნიშნული დახმარებით სარგებლობენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს ფაქტობრივად მცხოვრები პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით და წარმოადგენენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.



4.2.1.3. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (პირველი ჯგუფის) მქონე პირებს, კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა სეზონის მიხედვით: 01 ნოემბრიდან 01 მაისამდე - ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით; 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე - ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით.

ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის და 18 წლამდე ასაკის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად - 100 ლარის ოდენობით.

4.2.1.4. სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათ დაავადების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სიცოცხლისათვის საშიშ და „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი 17.2-ით განსაზღვრულ იშვიათი დაავადების მქონე მოქალაქეებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით, მხოლოდ დაავადების პირველი ტიპის მქონე პაციენტებს. სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე პაციენტების სარეიტინგო ქულა უნდა აღემატებოდეს 120000 ქულას.

4.2.1.5. რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, რადიაქტიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

4.2.2 ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთის ომის და მეორე მსოფლიო ომის მებრძოლთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 250 ლარს.

1. უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი, ფიზიკური ან/და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირების და მარტოხელა პირების (რომელთა ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და რომელსაც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სოფლის შინამეურნეობისაგან შემოსავალი) კვებით უზრუნველყოფა. მომსახურება გაეწევა 165 ბენეფიციარს.

1. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

ა) ხარდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ბ) დევნილთა სოციალური დაცვა;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;



დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

1. ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემათ ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულებს (95 წელი და ზევით) ერთჯერადად წელიწადში 500 ლარის ოდენობით.

1. დევნილთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაეწევა ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილებს.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100 ლარს.

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ქიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.

1. მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ქიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულ პირს (ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე). დახმარება გაიცემა ერთჯერადად წლის განმავლობაში 100 ლარის ოდენობით.

4.2.5 ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა;

გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა;

დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება;

4.2.5.1. ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:

ა) პირველი შვილის დაბადებისას - 100 ლარი.

ბ) მეორე შვილის დაბადებისას - 150 ლარი.

გ) მესამე შვილის დაბადებისას - 200 ლარი.

დ) მეოთხე შვილის დაბადებისას - 300 ლარი.

ე) მეხუთე შვილის დაბადებისას - 350 ლარი.

ვ) მეექვსე შვილის დაბადებისას - 500 ლარი.

ზ) მეშვიდე შვილის დაბადებისას - 700 ლარი.

თ) მერვე და შემდგომი შვილის დაბადებისას - 1000 ლარი.



ი) ტყუპების დაბადების შემთხვევაში დამატებით 500 ლარი.

ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ქიათურის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივ მცხოვრები მოქალაქე.

4.2.5.2. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი). გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში, დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე.

4.2.5.3. შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს:

ა) შემოსავლის გარეშე მყოფ მარტოხელა მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები);

ბ) შემოსავლის გარეშე მყოფ არასაპენსიო ასაკის მარტოხელა პირებს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და შვილები;

გ) შემოსავლის გარეშე მყოფ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;

დ) შემოსავლის გარეშე მყოფ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი (ბავშვები);

ამ პუნქტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

4.2.5.4. მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05 04)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე იმ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთა ბინის ტექნიკური მდგომარეობა არადაშლადმყოფილებელია და საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის. დახმარება გაიცემა საცხოვრებელი უზრუნველსაყოფად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად დროებითი გამოსახლების დღიდან პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებამდე, შემდეგი სახით:

ა) ერთ და ორსულიან ოჯახებზე - 100 ლარის ოდენობით;

ბ) სამ და ოთხსულიან ოჯახებზე - 150 ლარის ოდენობით;

გ) ხუთ და მეტსულიან ოჯახებზე - 200 ლარის ოდენობით.

4.2.6. სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სტიქიური მოვლენების და სხვა დაუძლეველი ძალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი ან/და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვლილის ოჯახი. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. დამხმარე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს.

4.2.7. ომის ვეტერანთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება მიეცემა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის ოდენობით. ავღანეთის ომის მონაწილეებს, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს დახმარება გაეწევთ ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.“

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა;
- შობადობის ზრდა.

5. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

პროგრამის აღწერა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქიათურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა. მოთხოვნის შესაბამისად წვევამდელთა დროული და მაქსიმალურ ზღვართან მიახლოება;

6.0. წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

აღნიშნული პრიორიტეტი მოიცავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციონირების ხარჯს, სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდს და თანამშრომელთა გადამზადების პროგრამას.

მუხლი 16. ქიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგი სახით:

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



ორგ. კოდი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	16,747.458	2,737.513	14,009.945	16,568.959	3,436.938	13,132.021	20,001.692	3,802.000	16,199.692
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,359.0	0.0	1,359.0	1,422.000	0.000	1,422.000	1,422.000	0.000	1,422.000
	ხარჯები	10,569.0	302.6	10,266.4	10,681.470	217.939	10,463.531	11,649.700	232.000	11,417.700
	შრომის ანაზღაურება	1,670.1	95.4	1,574.6	2,138.491	90.199	2,048.292	2,249.700	90.000	2,159.700
	საქონელი და მომსახურება	913.2	40.3	872.9	685.024	24.224	660.800	985.500	29.000	956.500
	პროცენტი	2.3	0.0	2.3	70.8	0.0	70.8	75.5	0.0	75.5
	სუბსიდიები	6,247.8	100.0	6,147.8	6,514.968	100.000	6,414.968	6,923.000	100.000	6,823.000
	გრანტები	50.0	0.0	50.0	50.551	0.000	50.551	0.000	0.000	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	1,211.4	9.3	1,202.2	950.969	3.516	947.453	1,140.000	13.000	1,127.000
	სხვა ხარჯები	474.2	57.7	416.5	279.803	0.000	279.803	276.000	0.000	276.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,148.1	2,434.9	3,713.3	5,887.489	3,218.999	2,668.490	8,351.992	3,570.000	4,781.992
	ძირითადი აქტივები	6,148.1	2,434.9	3,713.3	5,887.489	3,218.999	2,668.490	8,351.992	3,570.000	4,781.992
	ვალდებულებების კლება	30.3	0.0	30.3	0.000	0.000	0.000	0.0	0.0	0.0
	საშინაო	30.3	0.0	30.3	0.000	0.000	0.000	0.0	0.0	0.0
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	2,689.0	0.0	2,689.0	2,890.528	0.000	2,890.528	3,386.000	0.000	3,386.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	175.0	0.0	175.0	180.000	0.000	180.000	180.000	0.000	180.000
	ხარჯები	2,537.5	0.0	2,537.5	2,823.468	0.000	2,823.468	3,209.700	0.000	3,209.700



	შრომის ანაზღაურება	1,574.6	0.0	1,574.6	2,043.594	0.000	2,043.594	2,149.700	0.000	2,149.700
	საქონელი და მომსახურება	872.9	0.0	872.9	621.815	0.000	621.815	871.500	0.000	871.500
	პროცენტი	2.3	0.0	2.3	70.8	0.0	70.8	75.5	0.0	75.5
	გრანტები	0.0	0.0	0.0	0.806	0.000	0.806	0.000	0.000	0.000
